

**მოგვმართეთ კონსულტაციისთვის და გაიგეთ მამი  
თქვენი რეპროდუქციული და სქესობრივი  
ჯანმრთელობის უფლებების შესახებ**

კონფიდენციალური ონლაინ-კონსულტირებისა  
და მეგობრული სერვისების ელ.მისამართი:  
[www.youth-counseling.ge](http://www.youth-counseling.ge)

ონლაინ კონსულტაციით შეგიძლიათ ისარგებლოთ  
ყოველდღე კვირის გარდა 14:00-დან 17:00სთ-მდე.  
პირადი კონსულტაციისთვის გელოდებით  
„ახალგაზრდულ-მეგობრულ ცენტრში“  
12:00-დან 18:00სთ-მდე შემდეგ მისამართზე:  
ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი,  
II კვარტალი, მე-9 კორპუსი.  
წინასწარი ჩანერისათვის დარეკეთ ტელ: 2 14 28 53.

*მიიღე სწორი ინფორმაცია  
ანონიმურად და უფასოდ!!!*

**აირჩიე ჯანმრთელობა  
და გამოიყენე უსაფრთხო  
მეთოდი !!!**





ორსულობასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის 13%, განპირობებულია აბორტით, რაც ნიშნავს 67-70 ათასი ქალის გარდაცვალებას წლის განმავლობაში. ათეულ ათასობით ქალი კი იტანჯება აბორტით გამონეული გართულებების და ჯანმრთელობის მოშლის შორეული შედეგებით (მათ რიცხვში - უნაყოფობით). უსაფრთხო აბორტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და პრიორიტეტული პრობლემაა თანამედროვე მსოფლიოში, ჯერ კიდევ მრავალი ქალი (დაახლოებით 20 მლნ-მდე ყოველწლიურად), არასათანადო, სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ პირობებში, მიმართავს აღნიშნულ პროცედურას. საქართველოში, ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის 2010 წლის კვლევის მიხედვით, ქირურგიული მეთოდით ჩატარებული აბორტების შემთხვევაში, აბორტის შემდგომ გართულებები უფრო ხშირია.

**ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის მეთოდებია:**

- მედიკამენტური აბორტი;
- მანუალური ან ელექტრო-ვაკუუმ ასპირაცია (მინი აბორტი - ქირურგიული);
- საშვილოსნოს ღრუს კიურეტაჟი (ქირურგიული).

**მედიკამენტური აბორტი:** ორსულობის შეწყვეტის მიზნით, გამოიყენება ფარმაცოლოგიური საშუალებები. ამ დროს ქალი იღებს სპეციალურ პრეპარატებს. ეს პრეპარატი, ორსულობის ჰორმონის ანტაგონისტი, ამ ჰორმონის მოქმედების შეწყვეტა იწვევს ემბრიონის სიკვდილს და მის მოწყვეტას. შემდეგ ღებულობს მეორე პრეპარატს, რომელიც იწვევს საშვილოსნოს რიტმულ შეკუმშვას რასაც თან სდევს ემბრიონის გამოძევება საშვილოსნოდან. ეს პროცესი მიმდინარეობს უფრო „ბუნებრივად“ (როგორც მენსტრუაცია/ციკლი); აბორტის მედიკამენტური სახე ითვლება უფრო იოლ, დამზოგველ და თანამედროვე მეთოდად.

**მედიკამენტური აბორტის უპირატესობები ქირურგიულ მეთოდთან შედარებით:**

- თავიდან არის აცილებული დისკომფორტი, რომელიც უკავშირდება ქირურგიულ პროცედურას და ანესთეზიას. შესაბამისად, ქალისათვის ემოციურად უფრო იოლად გადასატანია;

- პრივატულობა და კონფიდენციალურობა, მაღალი ხარისხით არის უზრუნველყოფილი;
- შესაძლოა გამოყენებულ იქნას: ორსულობის ძალიან ადრეულ ვადაზე; ფიბრომიომის, საშვილოსნოს განვითარების მანკების, საშვილოსნოს ყელზე გადატანილი ოპერაციების შემდეგ - ყელის დაზიანების რისკის გარეშე; სიმსუქნის დროს;
- არ არის საჭირო ანესთეზია;
- თავიდან არის აცილებული ისეთი გართულებების შესაძლებლობა, როგორიცაა: ინფიცირების რისკი; საშვილოსნოს ყელის დაზიანება და საშვილოსნოს პერფორაცია (გახვრეტა) - შინაგანი ორგანოების დაზიანებით (ან დაზიანების გარეშე);

- მედიკამენტური აბორტი განსაკუთრებით მისაღებია არანამშობიარები ქალებისათვის, რადგან მცირეა უნაყოფობის განვითარების რისკი;
- მთელი მანიპულაცია ტარდება ამბულატორიულ პირობებში და პირდაპირი დანახარჯები სამედიცინო მომსახურებაზე ნაკლებია, ვიდრე ქირურგიული პროცედურის ჩატარების შემთხვევაში.

**მედიკამენტური აბორტის უკუჩვენებებია :**

- ალერგია პრეპარატებზე, რომლებიც გამოიყენება აბორტისათვის;
- საშვილოსნოს გარეშე ორსულობა;
- თანდაყოლილი პორფირია;
- თირკმელზედა ჯირკვლის ქრონიკული უკმარისობა;
- ორსულობა, რომელიც განვითარდა სპირალის ფონზე;
- ანტიკუაგულანტებით მკურნალობისას.

**რა უნდა გაითვალისწინოს მედიკამენტური აბორტი, ინდუსირებული აბორტის მიზნით, მედიკამენტური მეთოდის არჩევისას ?**

დადგენილია, რომ მედიკამენტური მეთოდით ორსულობის შეწყვეტისათვის გამოყენებული ფარმაცოლოგიური საშუალებები გადადის დედის რძეში და ახდენს ზოგიერთი ჰორმონის ჭარბ გამოყოფას ახალშობილის სისხლში. ამდენად მიზანშეწონილია, რომ ძუძუთი კვება განხორციელდეს პრეპარატის მიღებიდან 4-6 საათის შემდეგ.

**მოქმედებს თუ არა მედიკამენტური აბორტი მომავალში შვილის გარანაზე ?**

მედიკამენტური აბორტი არ ახდენს გავლენას ქალის ფერტილობაზე. იგი შეიძლება დაფხმდეს აბორტის შემდეგ 2-6 კვირის განმავლობაში, ამიტომ საჭიროა პაციენტმა დროულად გამოიყენოს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება (კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდები).

**როგორია მედიკამენტური აბორტის მეთოდის ეფექტურობა ?**

მეთოდის ეფექტურობა ძალიან მაღალია და ორსულობის I ნახევარში იგი შეადგენს 95-99 %-ს. ჩანასახოვანი პროდუქტების სრულად გამოძევება ბევრ ქალს 24 საათში აღენიშნება, თუმცა რიგ შემთხვევებში შეიძლება პროცესი 2 კვირამდე გაგრძელდეს.

**უსაფრთხოება**

სწორი სქემით, ექიმისაგან კონტროლირებულ ვითარებაში, მედიკამენტური აბორტის / ფარმაცოლოგიური საშუალებების გამოყენება, აბსოლუტურად უსაფრთხოა. გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ პრეპარატი სწრაფად გამოიყოფა ორგანიზმიდან.

**დამოუკიდებლად! ექიმის ჩაურევლად! ორსულობის შეწყვეტის მიზნით პრეპარატების მიღება არ შეიძლება !!!**